16/09/2026

MES 5 26 0001242715

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა Zoom-ის გამოყენებით **2026 წლის 4 სექტემბერს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=88023073634
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში –საბჭო) წევრები:

ელენე კაკაბაძე – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს თავმჯდომარე);
ხათუნა ჩხარტიშვილი – სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);
ნათია ბუთხუზი – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი (საბჭოს მდივანი);
გიორგი ვეკუა – სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);
ქრისტინე ახალაძე– სსიპ – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);
ეკატერინე გიგაშვილი – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
გოგიტა მშვენიერაძე – ა(ა)იპ – სამშენებლო კოლეჯ „კონტრუქტ2“-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი (საბჭოს წევრი)

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში –ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთევან ჭუჭულაშვილი – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

ნათია მჭედლიძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო ხელაძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ელისო ბარბაქაძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
მარიამ ჩოხელი – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

ნინო თამაზაშვილი
ანა ქურციკიძე
ზაზა პაპიძე
გივი დოლიძე
მამუკა ხოშტარია
ირმა ღარიბაშვილი
ვალერი ჯაჯანიძე

დაწესებულებების წარმომადგენლები:

როინ (მათე) ტაკიძე - დირექტორი
თამარ ხატიაშვილი - დირექტორის მოადგილე
თეიმურაზ მაჩაიძე - დირექტორის მოადგილე
თეა ჩხიკვაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი
შორენა გიგილაშვილი-გვიშიანი - ხარისხის მართვის სპეციალისტი

საბჭოს სხდომის დაწყების დრო – 12:05 საათი.

საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განაცხადა, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:

1. სსიპ კოლეჯ "სპექტრისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "ხის მხატვრული დამუშავება", "ელექტროობა", "წყალარინების სისტემების მშენებლობა", "სანტექნიკური სამუშაოების შესრულება", "მძიმე ტექნიკის ოპერირება", "სადურგლო საქმე", "იატაკისა და ფილების სამუშაოები", "თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი", "მსუბუქი

ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება", მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება", "სამშენებლო სამღებრო სამუშაოები" დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

პირველი საკითხი: სსიპ კოლეჯ "სპექტრისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "ხის მხატვრული დამუშავება", "ელექტროობა", "წყალარინების სისტემების მშენებლობა", "სანტექნიკური სამუშაოების შესრულება", "მძიმე ტექნიკის ოპერირება", "სადურგლო საქმე", "იატაკისა და ფილების სამუშაოები", "თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი", "მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება", „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება", "სამშენებლო სამღებრო სამუშაოები" დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნინო თამაზაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოება განხორციელდა სსიპ კოლეჯ „სპექტრის“ მიერ წარმოდგენილი 11 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების განაცხადის საფუძველზე. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებაში ადგილზე ვიზიტი განახორციელა 2026 წლის 7, 8, 9 და 10 ივლისს. შეფასების პროცესი დაეფუძნა სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი განაცხადისა და თანდართული დოკუმენტაციის შესწავლას, ადგილზე გამოთხოვილი მასალების გაანალიზებას, მატერიალური რესურსების დათვალიერებასა და ფლობის დამადასტურებელი

საბუთების შეფასებას, აგრეთვე ინტერვიუებს ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან. წარმოების ფარგლებში შეფასდა მე-2 სტანდარტი, კერძოდ 2.1, 2.2, 2.3 და 2.4 კომპონენტები.
პროგრამების საერთო მიმოხილვისას ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ წარმოდგენილი 11 პროგრამის ფარგლებში ჯამური მოთხოვნილი კვოტა შეადგენს 315 სტუდენტს. საკვალიფიკაციო დონეების მიხედვით, 6 პროგრამა მიეკუთვნება მესამე დონეს, ხოლო 5 პროგრამა წარმოდგენილია საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის სახით (მეოთხე დონე). სწავლების ფორმების მიხედვით, 8 პროგრამა დაგეგმილია იმიტირებული გარემოს მიდგომით, ხოლო 3 პროგრამა – სამუშაოზე დაფუძნებული, კოოპერაციული სწავლების ფორმით. კერძოდ, პროგრამების მიხედვით მონაცემები შემდეგნაირად გადანაწილდა: „ელექტროობა“ (მე-3 დონე, 45 სტუდენტი, კოოპერაციული სწავლება), „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ (მე-3 დონე, 30 სტუდენტი, იმიტირებული გარემო), „იატაკისა და ფილების სამუშაოები“ (მე-3 დონე, 30 სტუდენტი, იმიტირებული გარემო), „სადურგლო საქმე“ (მე-4 დონე, 30 სტუდენტი, იმიტირებული გარემო), „სამშენებლო სამღებრო სამუშაოები“ (მე-4 დონე, 15 სტუდენტი, იმიტირებული გარემო), „სანტექნიკური სამუშაოების შესრულება“ (მე-3 დონე, 30 სტუდენტი, იმიტირებული გარემო), „მძიმე ტექნიკის ოპერირება“ (მე-4 დონე, 30 სტუდენტი, კოოპერაციული გარემო), „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ (მე-3 დონე, 15 სტუდენტი, იმიტირებული გარემო), „მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება“ (მე-3 დონე, 15 სტუდენტი, იმიტირებული გარემო), „წყალარინების სისტემების მშენებლობა“ (მე-4 დონე, 45 სტუდენტი, საშუალო საფეხურის შედეგების ინტეგრირებით, კოოპერაციული სწავლება) და „ხის მხატვრული დამუშავება“ (მე-4 დონე, 30 სტუდენტი, საშუალო საფეხურის შედეგების ინტეგრირებით, იმიტირებული გარემო).
შესაბამისობის შეჯამებისას ნინო თამაზაშვილმა აღნიშნა, რომ 2.1 კომპონენტის ფარგლებში 11-ივე პროგრამა შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. 2.2 კომპონენტის (პროგრამის განხორციელების რესურსები) ფარგლებში 10 პროგრამა შეფასდა შესაბამისად, ხოლო 1 პროგრამა – „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ – შეფასდა, როგორც „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ვინაიდან ვიზიტის მომენტში მატერიალური რესურსი სრულყოფილად არ იყო წარმოდგენილი. 2.3 კომპონენტი (პროგრამის შეფასება და განვითარება) ყველა პროგრამის ფარგლებში შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ხოლო 2.4 კომპონენტის (სასწავლო პროცესის ორგანიზება და სტუდენტის შეფასება) ფარგლებში 11-ივე პროგრამაზე დაიწერა შეუსაბამობა გამოვლენილი სისტემური ხასიათის ხარვეზების გამო.

„ელექტროობის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას პარტნიორ ორგანიზაციასთან (შპს „ქსელმშენი“) გაფორმებული აქვს ხელშეკრულება კოოპერაციული სწავლების უზრუნველსაყოფად, სადაც გატანილია შესაბამისი მოდულის სწავლის შედეგები. დარგის ექსპერტმა, ზაზა პაპიძემ, დაადასტურა, რომ პარტნიორი ორგანიზაციის ბაზა არის მაღალი სტანდარტების შესაბამისი, ტერიტორიულად ძალიან ახლოს მდებარეობს კოლეჯთან, რაც სტუდენტებისთვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის. ასევე აღინიშნა, რომ პერსონალი გამოირჩევა მაღალი კვალიფიკაციითა და მრავალწლიანი გამოცდილებით, ხოლო ადგილზე წარმოდგენილია შესაბამისი C, B და A სასწავლო გარემოები, პირველადი გადაუდებელი დახმარების ოთახი და ბიბლიოთეკა სათანადო რესურსებით.
ექსპერტთა ჯგუფმა ყველა პროგრამისთვის საერთო განმავითარებელი რეკომენდაციის სახით განსაზღვრა კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კმაყოფილების კვლევის კომპონენტის გაძლიერება. მიუხედავად იმისა, რომ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები საშუალოდ მაღალი იყო, წარმოდგენილი მონაცემები ეყრდნობოდა მხოლოდ პროფესიული უნარების სააგენტოს პლატფორმის ნედლ მაჩვენებლებს, სიღრმისეული ანალიზისა და

გაუმჯობესების გეგმების გარეშე. შესაბამისად, გაიცა რეკომენდაცია, რომ კოლეჯმა უზრუნველყოს კურსდამთავრებულთა კვლევის უფრო სიღრმისეული, სისტემური და შინაარსობრივი წარმოება.
რაც შეეხება გამოვლენილ ხარვეზებს, 2.4.1.1 ინდიკატორთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ კოლეჯში არ მოქმედებს მარეგულირებელი წესი, რომელიც განსაზღვრავს სასწავლო პროცესის ორგანიზების, სასწავლო განრიგისა და კალენდარული გეგმების შედგენის, შეთანხმების, პასუხისმგებელი პირების გამოყოფისა და ცვლილებების შეტანის პროცედურებს. მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციამ ზეპირსიტყვიერად განმარტა პრაქტიკული პროცესი და განრიგის EFLOW-სა და ფოიეში განთავსების წესი, ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული იყო ძველი განრიგი, ხოლო პროცედურული რეგულაციების არარსებობის გამო ინდიკატორი შეფასდა, როგორც „არ შეესაბამება მოთხოვნებს“.

2.4.1.2 ინდიკატორის ფარგლებში ხარვეზად დაფიქსირდა ის გარემოება, რომ დაწესებულებას არ წარმოუდგენია მარეგულირებელი დოკუმენტაცია, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის ეტაპზე სტუდენტთა საჭიროებებისა და ინტერესების რეგულარულ, ფორმალიზებულ გათვალისწინებას. დოკუმენტური მტკიცებულებებისა და შესაბამისი მექანიზმის არარსებობის გამო აღნიშნული ინდიკატორიც შეფასდა, როგორც „არ შეესაბამება“.
სტუდენტის შეფასების სისტემასთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა არსებითი ხარვეზები. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შეფასების წესი ხასიათდება ბუნდოვანებით. ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცედურების ანალიზმა აჩვენა ინტერესთა კონფლიქტის არსებობა: ვალიდაციისა და ვერიფიკაციის ჯგუფებში შეყვანილი იყვნენ პროგრამის იმავე მოდულების განმახორციელებელი მასწავლებლები, ანუ შეფასების ინსტრუმენტის ავტორები თავადვე იღებდნენ მონაწილეობას საკუთარი ინსტრუმენტებისა და შეფასების შედეგების შემოწმებაში. გარდა ამისა, შეფასების ინსტრუმენტებში არ იყო გაწერილი აპელაციის პირობები, ხოლო პრაქტიკაში გამოყენებული ფორმები განსხვავდებოდა წესით დამტკიცებული დანართებისგან.
ამავე კომპონენტში გამოიკვეთა ვერიფიკაციის პროცედურის დუბლირება შიდა ვერიფიკაციის ჯგუფსა და მონიტორინგის ჯგუფს შორის, რომელთა უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობები არ იყო მკაფიოდ გამიჯნული. წესის მიხედვით ასევე არ იყო განსაზღვრული ვერიფიკაციის განხორციელების კონკრეტული ვადები და პერიოდულობა. წარმოდგენილი დასკვნის თანახმად, სწავლის შედეგის შეფასება განხორციელდა აპრილში, ხოლო ვერიფიკაცია ჩატარდა ივნისში.

დამატებით, 2.4.2 ინდიკატორის ფარგლებში დაფიქსირდა, რომ დაწესებულებას არ გააჩნია შეფასების მტკიცებულებების სისტემატიზებული, აღრიცხული და მიკვლევადი მატერიალური ან ელექტრონული ბაზა, რაც აუცილებელია შიდა და გარე ვერიფიკაციის სათანადოდ განსახორციელებლად. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.2 ინდიკატორი შეფასდა, როგორც „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო თამაზაშვილმა, საბჭოს ასევე გააცნო ინფორმაცია ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე სსიპ კოლეჯ „სპექტრის“ მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციისა და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის განხილვის შედეგების შესახებ. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება წარმოდგენილ ხარვეზებს ზოგ კომპონენტსა და ინდიკატორზე დაეთანხმა, ზოგზე – ნაწილობრივ, ხოლო გარკვეულ საკითხებზე არ გაიზიარა ექსპერტთა შეფასება. ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად გაანალიზა კოლეჯის არგუმენტები და ჩამოაყალიბა შესაბამისი დამატებითი განმარტებები.

2.4.1.1 ინდიკატორთან დაკავშირებით, დაწესებულებამ მიუთითა, რომ ნაწილობრივ იზიარებდა შეფასებას და განმარტა, რომ სასწავლო განრიგები იტვირთება ელექტრონული

საქმისწარმოების სისტემაში (EFLOW) და გამოქვეყნებულია 2024 წლის მონაცემები, ხოლო ცალკეული კალენდარული გეგმებისა და ცხრილების არსებობა საკმარისია პროცესის შესაბამისობის დასადასტურებლად. ნინო თამაზაშვილმა განმარტა, რომ ვიზიტისას აღნიშნული განრიგების ნახვა ვერ მოხერხდა, ხოლო სასწავლო პროცესის ორგანიზების მარეგულირებელი პროცედურისა და დამადასტურებელი მტკიცებულებების გარეშე, მხოლოდ კალენდარული გეგმების არსებობა ვერ უზრუნველყოფს პროცესის დაგეგმვის, განხორციელებისა და კონტროლის სისტემურობას.

2.4.1.2 ინდიკატორთან დაკავშირებით დაწესებულებამ არ გაიზიარა ექსპერტთა შეფასება. ექსპერტის განმარტებით, ცალკეული პერსონალის უფლება-მოვალეობების არსებობა ვერ უზრუნველყოფს იმის დასაბუთებას, რომ პროცესი სტუდენტთა ინტერესებზეა მორგებული. ექსპერტთა ჯგუფი აფასებდა დაწესებულების მზაობას წინასწარ განსაზღვრული, სისტემური მეთოდოლოგიის სახით, რაც ითვალისწინებს სტუდენტთა საჭიროებების იდენტიფიცირებას, მორგებასა და პროცესების გაუმჯობესებას. ამდენად, დაწესებულების არგუმენტი არც ამ ნაწილში იქნა გათვალისწინებული.

2.4.2.1 ინდიკატორთან დაკავშირებით დაწესებულებამ სრულად გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის შეფასება. რაც შეეხება 2.4.2 ინდიკატორის მეორე ნაწილს (ვერიფიკაციის მექანიზმები), კოლეჯმა არ გაიზიარა ხარვეზი და მიიჩნია, რომ მექანიზმები სრულყოფილად იყო გაწერილი. ექსპერტთა ჯგუფმა განმარტა, რომ დასკვნის პროექტში მკაფიოდ იყო აღწერილი პროცედურების დუბლირება და ინტერესთა კონფლიქტი, რაც გამორიცხავს მექანიზმის სრულყოფილებას.

2.4.2 ინდიკატორის მესამე ნაწილთან (შეფასების მტკიცებულებათა აღრიცხვა) დაკავშირებით დაწესებულებამ ნაწილობრივ გაიზიარა შეფასება და აღნიშნა, რომ უწყისების EFLOW-ში ატვირთვა და შემდგომი დაარქივება უზრუნველყოფს აღრიცხვიანობას. ექსპერტთა ჯგუფმა განმარტა, რომ აღნიშნული ინდიკატორი მოითხოვს შეფასების მტკიცებულებებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის სისტემურ აღრიცხვას მიკვლევადობის, შიდა და გარე ვერიფიკაციის მიზნებისათვის. მხოლოდ ელექტრონულ სისტემაში უწყისების ატვირთვა წარმოადგენს საქმისწარმოების კომპონენტს და ვერ ჩაითვლება მტკიცებულებათა სისტემურ აღრიცხვად.

შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შეფასებისას ნინო თამაზაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტებმა 2026 წლის 12 აგვისტოს მიიღეს დოკუმენტები, სადაც აქტივობების დაწყების თარიღად მითითებული იყო 10 ივლისი, ხოლო დასრულების თარიღად – 10 აგვისტო. თავად გეგმა დამტკიცებული იყო დირექტორის 10 აგვისტოს ბრძანებით. აღნიშნული ნიშნავს, რომ აქტივობები ხორციელდებოდა გეგმის ოფიციალური დამტკიცებამდე, რის გამოც მათ იურიდიული ძალა არ გააჩნდათ. გარდა ამისა, არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა შინაარსობრივად მოდიოდა წინააღმდეგობაში: ერთ დოკუმენტში მითითებული იყო, რომ ხარვეზები უკვე აღმოფხვრილი იყო, ხოლო მეორეში წარმოდგენილი იყო მომავალში განსახორციელებელი ნაბიჯები.
ექსპერტმა ასევე განმარტა, რომ 13 აგვისტოს დაწესებულებამ დამატებით წარმოადგინა ახალი შესაბამისობის გეგმა გაზრდილი, 3-თვიანი ვადებით, თუმცა მას თან არ ახლდა განმარტებითი ბარათი და არც დირექტორის ბრძანებით იყო დამტკიცებული. ექსპერტთა ჯგუფმა პირველი გეგმა არ გაითვალისწინა ვადებისა და შინაარსის შეუსაბამობის გამო, ხოლო მეორე გეგმა – იურიდიული ძალის არარსებობის გამო. დამატებით მიეთითა, რომ მოქმედი დებულების თანახმად, ექსპერტთა ჯგუფს ეკრძალება ვიზიტის შემდგომ პერიოდში შექმნილი ახალი

მარეგულირებელი დოკუმენტების მხედველობაში მიღება. ამდენად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ყველა შეფასება დარჩა უცვლელი და წარმოდგენილი ინდიკატორები შეფასდა, როგორც „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ, თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე გიგაშვილმა, ყურადღება გაამახვილა 2.4.1 ინდიკატორთან (სასწავლო პროცესის ორგანიზება) დაკავშირებით ექსპერტთა დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას შორის არსებულ წინააღმდეგობაზე. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება, ერთი მხრივ, იზიარებს ხარვეზს, ხოლო, მეორე მხრივ, სასწავლო პროცესის ორგანიზების მარეგულირებელი დოკუმენტის არარსებობის მიზეზად ასახელებს მოდულების ხშირ ცვლილებებსა და დაწყება-დასრულების ვადების დინამიკურობას. მან დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა დამატებითი განმარტება იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ იცვლება მოდულების თარიღები ხშირად, როგორ ხდება სტუდენტთა ინფორმირება ამ ცვლილებების შესახებ და არის თუ არა ეს პროცედურები გაწერილი ოფიციალურ მარეგულირებელ დოკუმენტში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ვებგვერდზე სასწავლო განრიგების რეგულარული განახლება აღარ ხორციელდებოდა სტუდენტთა ინტერესებისა და საჭიროებების გამოკვლევის შედეგად, ვინაიდან ვებგვერდზე ხშირი ცვლილებები სტუდენტებში დაბნეულობას იწვევდა. სტუდენტთა საჭიროებებზე მორგების მიზნით, კოლეჯმა აირჩია ინფორმირების ალტერნატიული გზები: განრიგები განთავსდა უშუალოდ თითოეულ აუდიტორიაში, ამობეჭდილი სახით დაურიგდა სტუდენტებს და გაზიარდა სპეციალურად შექმნილ სოციალური ქსელების (Messenger/Facebook) ჯგუფებში. მარეგულირებელ ჩარჩოსთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროცედურები არსებობდა, თუმცაგაბნეული იყო სხვადასხვა შიდა რეგულაციაში, პროგრამის ხელმძღვანელებისა და მასწავლებლების თანამდებობრივ ინსტრუქციებში. ექსპერტების შენიშვნის საფუძველზე, კოლეჯმა მოახდინა ამ პროცედურების კონსოლიდაცია და თავმოყრა ერთიან დოკუმენტში.

ნინო თამაზაშვილმა დააზუსტა ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია და აღნიშნა, რომ პროცედურების სხვადასხვა დოკუმენტში გაბნევის შემთხვევაში გაიცემოდა განმავითარებელი რეკომენდაცია და არა შეუსაბამობა. მოცემულ შემთხვევაში, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში სისტემური პროცედურული ინსტრუქცია საერთოდ ვერ დადასტურდა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, დააყენა საკითხი იმის შესახებ, ხომ არ იყო შესაძლებელი აღნიშნული ინდიკატორის დაკმაყოფილებულად მიჩნევა იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ეს გახლდათ ახალი პროგრამების დამატების განაცხადი (სადაც სტუდენტები ჯერ არ ირიცხებიან) და კოლეჯს შიდა სისტემაში (EFLOW) და ადგილზე გაჩნდა კალენდარული გეგმებისა და განრიგების ნიმუშები.

ნინო თამაზაშვილმა განმარტა, რომ პირველადი პროგრამების დამატებისას ექსპერტთა ჯგუფი ეყრდნობა არა უკვე განხორციელებულ პრაქტიკას, არამედ დაწესებულების მზაობასა და მარეგულირებელ მეთოდოლოგიურ ჩარჩოს. ვინაიდან მარეგულირებელი წესი არ არსებობდა, ხოლო ადგილზე წარმოდგენილი კალენდარული გეგმები ეხებოდა ძველ, მილევად რეჟიმში მყოფ პროგრამებს, ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონდა სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველი დაედგინა, რომ ახალი პროგრამების ფარგლებში სასწავლო პროცესი წარიმართებოდა სასწავლო გეგმების შესაბამისად. შესაბამისად, ექსპერტთა შეფასება დარჩა უცვლელი.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე გიგაშვილმა, დასვა მეორე შეკითხვა სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. მან იკითხა, თუ რომელი ინსტრუმენტი იყო ოფიციალურად დამტკიცებული, ვინაიდან ექსპერტის დასკვნაში მითითებული იყო შეფასების ფურცლის სამი განსხვავებული ვერსიის არსებობის შესახებ, რამაც შესაძლოა პრაქტიკაში გაურკვევლობა გამოიწვიოს.

ნინო თამაზაშვილმა განმარტა, რომ შეფასების წესს დანართის სახით ახლდა ორი სხვადასხვა დამტკიცებული ფორმა, ხოლო პრაქტიკაში ექსპერტებმა ნახეს მესამე, სრულიად განსხვავებული ფორმატის ინსტრუმენტი (მაგალითად, „გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრე სისტემის მომსახურების“ პროგრამის ფარგლებში), რაც მიუთითებს მეთოდოლოგიურ ხარვეზზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ შინაარსობრივად სამივე ფორმა შეიცავდა იდენტურ აუცილებელ მონაცემებს და განსხვავება ეხებოდა მხოლოდ ვიზუალურ მხარეს (ცხრილის ფორმის გამოყენება-არგამოყენებას მასწავლებლის მიერ). მან ასევე აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხი უკვე მოწესრიგდა, შემუშავდა ერთიანი, უნიფიცირებული შეფასების ინსტრუმენტის ფორმა, რომელიც სრულად შეესაბამება პროფესიული განათლების მოქმედ მეთოდოლოგიასა და მარეგულირებელ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტმა, ანა ქურციკიძემ, დამატებით დააზუსტა შეფასების ინსტრუმენტებთან დაკავშირებული პოზიცია და აღნიშნა, რომ საკითხი ეხებოდა არა მხოლოდ ინფორმაციულ შინაარსს, არამედ დამტკიცებული ფორმების სამართლებრივ შესაბამისობას. ვინაიდან წესს დანართის სახით ახლდა ორი განსხვავებული ფორმა, ხოლო ადგილზე პრაქტიკაში გამოიყენებოდა მესამე ფორმა, იქმნებოდა აცდენა დამტკიცებულ დოკუმენტაციასა და რეალურ პრაქტიკას შორის.

საბჭოს მდივანმა, ნათია ბუთხუზმა, დასვა შეკითხვები EFLOW-ს ელექტრონულ სისტემაში ატვირთული სასწავლო განრიგთან დაკავშირებით. ექსპერტმა ნინო თამაზაშვილმა განმარტა, რომ EFLOW-ში განრიგის ატვირთვა წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირების სტანდარტულ პრაქტიკას შიდა მონიტორინგისა და აუდიტის მიზნებისათვის. დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ სისტემაში ატვირთული განრიგი ეგზავნება ყველა პედაგოგს, ხოლო პროგრამის ხელმძღვანელები და პრაქტიკის მენეჯერები უზრუნველყოფენ მის გამოკვრას აუდიტორიებში, ჩათებში გაზიარებასა და ამობეჭდილი სახით სტუდენტებისათვის მიწოდებას. ვინაიდან მოდულების ხანგრძლივობიდან გამომდინარე განრიგი დინამიკურად ახლდება, ვებგვერდზე მისი განთავსების პრაქტიკამ არ გაამართლა. ექსპერტმა მიუთითა, რომ ასეთ შემთხვევაში კოლეჯმა ცვლილება უნდა შეიტანოს შიდა წესში და ამოიღოს ვებგვერდით ინფორმირების პუნქტი. ხოლო სტუდენტებთან გასაუბრების ნაწილში ნინო თამაზაშვილმა განმარტა, რომ სტუდენტებთან გასაუბრება არ განხორციელებულა.

სსიპ კოლეჯ „სპექტრის“ დირექტორმა აღნიშნა, რომ კოლეჯი ფლობს ქვეყანაში ერთ-ერთ საუკეთესო მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვილობას წარმოდგენილ ყველა მიმართულებაზე. კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს სახელმწიფოსთან, დონორებთან და კერძო ბიზნესთან, იზიდავს მსხვილ ინვესტიციებს და მომავალ წელს გეგმავს მასშტაბური ინდუსტრიული ჰაბის გახსნას. პედაგოგიური შემადგენლობა არის მაღალკვალიფიციური და სრულად მზადყოფნაშია შრომის ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. დირექტორმა ყურადღება გაამახვილა სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმებზე, მათ შორის მსხვილი კომპანიების სტიპენდიებზე, სტუდენტურ თვითმმართველობაზე, მობილურ საზოგადოებრივ სივრცეებზე, სამეურვეო საბჭოს მუშაობაში სტუდენტთა მონაწილეობასა და საერთაშორისო ჩემპიონატებში

წარმატებებზე. მან აღნიშნა, რომ კოლეჯი ვითარდება, ხსნის ფილიალებს რეგიონებში (საჩხერე, დმანისი) და წარმოდგენილ პროგრამებზე ასეულობით აპლიკანტის მიღების მოლოდინია.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსმა, თამარ კვინიკაძემ, თავის გამოსვლაში დაადასტურა კოლეჯ „სპექტრის“ მაღალი რეპუტაცია, განსაკუთრებული წარმატება სამშენებლო მიმართულებით და მჭიდრო კავშირი ბიზნესსექტორთან. თუმცა, მან მოუწოდა კოლეჯს და ყველა საჯარო დაწესებულებას, რომ დოკუმენტაცია მოიყვანონ სრულ წესრიგში, რათა თავიდან იქნეს აცილებული მსგავსი ბიუროკრატიული შეფერხებები. შინაარსობრივ მხარეზე საუბრისას, თამარ კვინიკაძემ აღნიშნა, რომ ეს პროგრამები კოლეჯისთვის ახალი არ არის და წლებია ხორციელდება, რის გამოც მიდგომა უნდა ეყრდნობოდეს რეალურ შედეგებს. მან გამოთქვა მოსაზრება, რომ წარმოდგენილი ხარვეზების გამო (როგორიცაა განრიგების გამოქვეყნების ფორმატი) შეუსაბამობის დაწერა ატარებს გადაჭარბებულ ბიუროკრატიულ ხასიათს, ვინაიდან მთავარია სასწავლო პროცესის მაღალი ხარისხი, ინფრასტრუქტურა და კვალიფიციური პერსონალი, ხოლო დოკუმენტური ხარვეზები მარტივად გასწორებადია. მან დააფიქსირა სამინისტროს სრული მხარდაჭერა და მიიჩნია, რომ აღნიშნული შენიშვნები არ უნდა გახდეს პროგრამების დამატებაზე უარის თქმის საფუძველი.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, გაიზიარა სამინისტროს დეპარტამენტის უფროსის პათოსი პროცესის რეალურ შინაარსთან მიმართებით და აღნიშნა, რომ ექსპერტები მოქმედებდნენ არსებული ფორმალური ინდიკატორების ჩარჩოებში. მან ხაზი გაუსვა, რომ 2.1, 2.2 და 2.3 კომპონენტებში ყველა პროგრამა შეფასებულია, როგორც „შეესაბამება“, ხოლო 2.4 კომპონენტში გამოვლენილი ხარვეზები ეხება მხოლოდ შიდა წესებსა და მექანიზმებს და არა უშუალოდ სასწავლო პროცესის მიმდინარეობას. თავმჯდომარემ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს ჰკითხა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას რეალური შესაძლებლობა აღნიშნული პროგრამების განსახორციელებლად.

ნინო თამაზაშვილმა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფი ეყრდნობა მხოლოდ ობიექტურ ფაქტებს და მოქმედებს მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. მან დაადასტურა, რომ კოლეჯ „სპექტრს“ გააჩნია მდიდარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შესანიშნავი სასწავლო რესურსები და მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრები. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაადასტურა, რომ თუ დაწესებულება სასწავლო პროცესის დაწყებამდე ერთ მაგიდასთან დაჯდება, გადახედავს და სტანდარტების შესაბამისად მოაწესრიგებს მარეგულირებელ მეთოდოლოგიურ დოკუმენტაციასა და წესებს, კოლეჯი სრულყოფილად უზრუნველყოფს აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების წარმატებულ განხორციელებას.

საბჭოს თავმჯდომარე, ელენე კაკაბაძე, „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთების“ პროგრამას, სადაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ 2.2.1 ინდიკატორში დაფიქსირდა ხარვეზი თვლების შეყრის კორექტირების მოწყობილობის არარსებობის გამო. თავმჯდომარემ იკითხა, ხომ არ აღმოფხვრიდა აღნიშნულ ხარვეზს კოლეჯის მიერ შპს „უნიმოტორსთან“ ოპერატიულად გაფორმებული ხელშეკრულება, ვინაიდან პროფესიულ განათლებაში პრაქტიკის ობიექტების რესურსების გამოყენება მიღებული პრაქტიკაა.

დარგის ექსპერტმა, ვალერი ჯაჯანიძემ, განმარტა, რომ ადგილზე ვიზიტის პერიოდში აღნიშნული ხელშეკრულება წარმოდგენილი არ ყოფილა, ხოლო დაწესებულებაში 2018 წლით დათარიღებული „თეგეტა აკადემიასთან“ გაფორმებული მემორანდუმი ეხებოდა სხვა დასახელების პროგრამას და არ შეიცავდა საჭირო სწავლის შედეგებს. ექსპერტმა დაამატა, რომ „თეგეტა აკადემიას“ აღნიშნული აპარატურა თავადაც არ გააჩნია. შპს „უნიმოტორსთან“ გაფორმებულ ახალ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის

შემდგომ წარმოდგენილი დოკუმენტის საფუძველზე აპარატურის ტექნიკური პარამეტრების შეფასება შეუძლებელი იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კოლეჯის პედაგოგი და ადმინისტრაცია უშუალოდ იმყოფებოდნენ შპს „უნიმოტორსის“ ბაზაზე (რომელიც კოლეჯთან ახლოს, რუსთავის გზატკეცილზე მდებარეობს), ადგილზე შეამოწმეს თვლების შეყრის კორექტირების თანამედროვე აპარატურა, დარწმუნდნენ მის გამართულობაში და მხოლოდ ამის შემდეგ გააფორმეს თანამშრომლობის ხელშეკრულება.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა განმარტება იმის შესახებ, თუ რა კონკრეტული ცვლილებები განხორციელდა შიდა მარეგულირებელ აქტებში ექსპერტთა შენიშვნების საპასუხოდ და უზრუნველყოფს თუ არა ახალი რეგულაციები გამოვლენილი ხარვეზების სრულ აღმოფხვრას 11-ვე პროგრამისთვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ექსპერტთა ვიზიტის პარალელურად, 10 ივლისიდანვე დაიწყო ინტენსიური მუშაობა შიდა რეგულაციების მოწესრიგებაზე. ადმინისტრაციამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაციები, ჩაატარა სამუშაო შეხვედრები პედაგოგიურ პერსონალთან და შეისწავლა სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები. მიღებული გადაწყვეტილებით, გაუქმდა მანამდე მოქმედი, სხვადასხვა დოკუმენტში გაბნეული ცალკეული წესები (ჩარიცხვის, სტატუსის მოპოვების, ფორმალური და არფორმალური განათლების აღიარებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების შესახებ) და შემუშავდა ერთიანი, უნიფიცირებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“. აღნიშნულ ერთიან დოკუმენტში სრულად აისახა სასწავლო პროცესის ორგანიზების, განრიგების შედგენის, შეფასებისა და ვერიფიკაციის გამართული პროცედურები. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ახალი წესი ვრცელდება როგორც წარმოდგენილ 11 პროგრამაზე, ასევე კოლეჯში მოქმედ 10 პროგრამაზე (სულ 21 პროგრამაზე), რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სასწავლო პროცესის ადმინისტრირებას.
საბჭოს მდივანმა, ნათია ბუთხუზმა, დასვა შეკითხვა ექსპერტ მამუკა ხოშტარიას მიერ „სადურგლო საქმისა“ და „ხის მხატვრული დამუშავების“ პროგრამებზე გაცემული განმავითარებელი რეკომენდაციის შესახებ, რომელიც ეხებოდა სასწავლო პროცესში დამატებითი თანამედროვე სახელმძღვანელოების ჩართვას. საბჭოს მდივანმა იკითხა, ხომ არ ნიშნავდა ეს შენიშვნა იმას, რომ ძირითადი რესურსი არ იყო საკმარისი სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტმა, ნინო თამაზაშვილმა, განმარტა, რომ ძირითადი სასწავლო რესურსი სრულად შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს, ხოლო ექსპერტის შენიშვნა ატარებდა მხოლოდ სარეკომენდაციო, განმავითარებელ ხასიათს სასწავლო მასალების გამრავალფეროვნების მიზნით.

დარგის ექსპერტმა, მამუკა ხოშტარიამ, განმარტა, რომ იგი გახლავთ აღნიშნული დარგობრივი სტანდარტებისა და სახელმძღვანელოების ავტორი. მან აღნიშნა, რომ ევროკავშირის პროექტებისა და საერთაშორისო გამოფენებიდან მიღებული სიახლეების საფუძველზე მის მიერ პერიოდულად გამოიცემა თანამედროვე პროფესიული ლიტერატურა ავეჯის პროექტირებასა და ხის დამუშავებაზე. ექსპერტმა ხაზი გაუსვა, რომ დარგში პედაგოგთა საშუალო ასაკი მაღალია (დაახლოებით 75 წელი) და სიახლეების მუდმივი მიწოდება კერძო სექტორისა და ასოციაციის მხრიდან სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების განვითარებისათვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს მოწოდებული ელექტრონული სასწავლო მასალებისთვის და აღნიშნა, რომ კოლეჯის პედაგოგები აქტიურად გამოიყენებენ ამ რესურსს სტუდენტთა დამხმარე ლიტერატურის სახით.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, აღნიშნა, რომ სსიპ კოლეჯ „სპექტრს“ წარმატებით აქვს გავლილი ინსტიტუციური ავტორიზაცია, სადაც დაწესებულების შიდა მარეგულირებელი წესები და ადმინისტრაციული პროცესები უკვე შეფასდა და ცნობილ იქნა სტანდარტებთან შესაბამისად. კონკრეტული პროგრამების დამატების ეტაპზე შიდა წესებში გამოვლენილი ტექნიკური თუ სტრუქტურული ხარვეზები საჭიროებს დახვეწას, ატარებს შესაბამისობის ხასიათს და არ წარმოადგენს იმ მასშტაბის შეუსაბამობას, რომ შეფერხდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 11-ვე წარმოდგენილ პროგრამაზე 2.1, 2.2 და 2.3 კომპონენტები ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებულია სრულად დადებითად, რაც ადასტურებს, რომ დაწესებულებას გააჩნია სრული ინფრასტრუქტურული, მატერიალური, ადამიანური და ფინანსური მზაობა. გამოვლენილი ხარვეზი ატარებდა ადმინისტრაციულ-დოკუმენტურ ხასიათს, რაც კოლეჯმა შიდა რეგულაციების კონსოლიდაციითა და ახალი „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მიღებით ერთიანად მოაწესრიგა. პროპორციულობის პრინციპიდან გამომდინარე, შიდა წესების ფორმალური ნაკლი არ უნდა გახდეს პროგრამების დამატებაზე უარის თქმის საფუძველი, როდესაც რეალური სასწავლო მზაობა სრულად არის უზრუნველყოფილი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილ 11-ვე საავტორიზაციო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე 2.4 კომპონენტში, ხოლო პროგრამაზე „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ 2.2 კომპონენტში (კერძოდ, 2.2.1 ინდიკატორში), შეიცვალოს ექსპერტთა ჯგუფის მიერ განსაზღვრული შეფასება „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“ და განისაზღვროს, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯ "სპექტრისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "ხის მხატვრული დამუშავება", "ელექტროობა", "წყალარინების სისტემების მშენებლობა", "სანტექნიკური სამუშაოების შესრულება", "მძიმე ტექნიკის ოპერირება", "სადურგლო საქმე", "იატაკისა და ფილების სამუშაოები", "თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი", "მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება", მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება", "სამშენებლო სამღებრო სამუშაოები" დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე და 62-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ კოლეჯ "სპექტრს“ (ს/კ: 208183605) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები "ხის მხატვრული დამუშავება", "ელექტროობა", "წყალარინების სისტემების მშენებლობა", "სანტექნიკური სამუშაოების შესრულება", "მძიმე ტექნიკის ოპერირება", "სადურგლო საქმე", "იატაკისა და ფილების სამუშაოები", "თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი", "მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება", მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება", "სამშენებლო სამღებრო სამუშაოები" **(დანართი 1).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 4 სექტემბერი.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით,რომ სსიპ კოლეჯ „სპექტრში“ ჩაინიშნოს მონიტორინგი 2.4 და 2.2 კომპონენტებში „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთების“ პროგრამის ფარგლებში, ექსპერტთა ადგილზე ვიზიტით.მონიტორინგის ვადად განისაზღვროს 2026 წლის 2 ნოემბერი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 14:20 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
კაკაბაძე ელენე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბუთხუზი ნათია

დანართი

პროგრამის სახელწოდება	ელექტროობა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ისანი-სამგორი, ბესარიონ ჭიჭინაძის No10
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	45
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	66
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	81

პროგრამის სახელწოდება	თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0732
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ისანი-სამგორი, ბესარიონ ჭიჭინაძის No10
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	58
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	73

პროგრამის სახელწოდება	იატაკისა და ფილების სამუშაოები
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია იატაკისა და ფილის სამუშაოებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0732
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ისანი-სამგორი, ბესარიონ ჭიჭინაძის No10
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	81
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	96

პროგრამის სახელწოდება	სადურგლო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სადურგლო საქმეში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0732
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ისანი-სამგორი, ბესარიონ ჭიჭინაძის No10
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	79
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	109

პროგრამის სახელწოდება	სამშენებლო სამღებრო სამუშაოები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სამშენებლო სამღებრო სამუშაოებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0732
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ისანი-სამგორი, ბესარიონ ჭიჭინაძის No10
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	15
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	85
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115

პროგრამის სახელწოდება	მძიმე ტექნიკის ოპერირება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მძიმე ტექნიკის ოპერირებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ისანი-სამგორი, ბესარიონ ჭიჭინაძის No10
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	70
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	100

პროგრამის სახელწოდება	მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0716
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ისანი-სამგორი, ბესარიონ ჭიჭინაძის No10
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	15
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	54
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	69

პროგრამის სახელწოდება	მსუბუქი ავტომობილის შიგაწვის ძრავას შეკეთება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შიგაწვის ძრავას შეკეთებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0716
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ისანი-სამგორი, ბესარიონ ჭიჭინაძის No10
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	15
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	56
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	71

პროგრამის სახელწოდება	წყალარინების სისტემის მშენებლობა
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია წყალარინების სისტემების მშენებლობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0732
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ისანი-სამგორი, ბესარიონ ჭიჭინაძის No10
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	45
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	15
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	111
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	83
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	141
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	113

პროგრამის სახელწოდება	ხის მხატვრული დამუშავება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ხის მხატვრულ დამუშავებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0214
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ისანი-სამგორი, ბესარიონ ჭიჭინაძის No10
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	15
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	114
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	86
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	144
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116

პროგრამის სახელწოდება	სანტექნიკური სამუშაოების შესრულება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სანტექნიკური სამუშაოების შესრულებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0732
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ისანი-სამგორი, ბესარიონ ჭიჭინაძის No10
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	67
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	82